



იესომ მიპოვა მე



## სარჩევი

1. განსხვავებული ცხოვრება (შესავალი)
2. ვინ ვარ მე?
3. ვინ არის იესო?
4. ხსნაში დარწმუნება
5. იესომ მიპოვა მე
6. რა არის ღვთის ნება შენს ცხოვრებაში?
7. შემოიძლია ბიბლიას ვენდო?
8. სულის განცდა და უიმედობა



# განსხვავებული ცხოვრება?

## ცხოვრებაში ბევრი კითხვა არსებობს

გარკვეული ადამიანები ცხოვრებით კმაყოფილი არიან და დიდად არ ინუხებენ თავს იცოდნენ სააქაოზე ან საიქიოზე. მაგრამ მოხდება თუ არა მათ ცხოვრებაში რაიმე, ეს მათი კმაყოფილება სადღაც ქრება.

სხვანი ხედავენ, რომ ბევრი არასწორი რამ მოხდა მათ ცხოვრებაში და სურთ გაიგონ, არსებობს თუ არა მათი პრობლემების გადაჭრის გზა.

ამ მცირე ბუკლეტში შევეცდებით „განსხვავებული ცხოვრება“ გიჩვენოთ. ის რაც ღმერთმა მისი ძის, იესო ქრისტეს მეშვეობით მოგვცა.

*ის განსხვავდება, რადგან არ ჰგავს არაფერს იმას, რაც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ, ანუ საკუთარი ძალით მივალწიოთ.*

*ის განსხვავდება, რადგან მას მოაქვს, რაღაც სრულიად ახალი, ის, რაც ქრისტეს მიერ ჯვარზე აღსრულებულ საქმეს ეფუძნება. მხოლოდ მას შეუძლია ცოდვისგან გამონწვეული პრობლემისა და მარცხის გადაჭრა.*

*ის განსხვავდება, რადგან ღმერთთან სწორ ურთიერთობაში მხოლოდ მას მოვყავართ.*

*ის განსხვავდება, რადგან იძლევა არა მხოლოდ ამ ცხოვრების აზრს, არამედ მომავალი ცხოვრებისაც: დიას, მისით ვლებულობთ მარადიული ცხოვრების იმედს.*

ჩვენ ვიცით, რომ მრავალს უნდა ქრისტიანად ყოფნა, მაგრამ რეალური ცოდნა არ აქვთ იმისა, თუ რას მოიცავს იგი. ზოგნიც მის მიღწევას იმ გზით ცდილობენ, რაც ქრისტიანული გაგებიდან შორსაა.

ამ ბუკლეტის მეშვეობით ჩვენი სურვილია გინიამძღვროთ იმ რეალური ცხოვრებისაკენ, რაც ღმერთმა ჩვენთვის განსაზღვრა.

# ვინ ? ვის ჰ?

შესაძლოა საკუთარი თავისთვის დაგისვამს ეს კითხვა, „ვინ ვარ მე სინამდვილეში?“ ბიბლია ამ კითხვაზე პასუხობს, „შენ ადამიანური არსი ხარ, რომელიც ღვთის ხატადაა შექმნილი.“ ეს ნიშნავს უფრო მეტს, რომ შენ ღმერთთან ურთიერთობისათვის ხარ შექმნილი. ცხოვრება შენი არასრულია, ვიდრე ღმერთთან ის სწორ ურთიერთობაში არ მოვა.

თუ უღმერთოდ ცხოვრობ, მაშინ ის არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ცხოვრებად. ეს არის ბიბლიური ჭეშმარიტება.

## ათეისტი და კაყოფილი?

მრავალი ადამიანი ამბობს, რომ მათ არ სწამთ ბიბლია და რომ არ არსებობს ღმერთი. მათ ამგვარად მომართეს საკუთარი გონება და ამიტომ ისინი ათეისტებად იწოდებიან. ისინი ღვთის არსებობას უარყოფენ. ასეთნი უდარდელი ცხოვრებით ცხოვრობენ. ხშირად თავიც კი მოწონთ და ამბობენ, რომ ყველაფერი კარგად მიდით ცხოვრებაში. ბიბლიისათვის მსგავსი უარყოფა უცნობი არ არის.

73-ე ფსალმუნში, ჩვენ ვკითხულობთ ადამიანებზე, რომელნიც არ იცნობენ ღმერთს და მისგან შორს ცხოვრობენ. რეალურად ისინი ღმერთს უარყოფენ. „რადგან შემშურდა უგუნურთა, როდესაც დავინახე ბოროტთა კეთილდღეობა. რადგან არ აქვთ ტკივილი სიკვდილამდე და ჯანსაღნი არიან (მ.3,4).“

მაგრამ უნდა დააკვირდე თუ რა შეემთხვა ამ ადამიანებს. მათი ბოლო კატასტროფული იყო, ვინაიდან მე-18 და მე-19 მუხლებში ვკითხულობთ, „ნამდვილად მოლიპულ გზაზე დააყენე ისინი; შენ მოსპობ მათ. როგორ მეყსეულად განადგურდნენ, დაილუპნენ შიშის ზარისაგან!“

შესაძლოა შენ ისევე ამბობ, „არ მნამს ღმერთის, უმისოდაც კარგად ვიქნები.“ შესაძლოა შენც იმ უნივერსიტეტის

სტუდენტითა ხარ, რომელსაც ერთ დროს ვიცნობდი. ის იმ ფაქტით ტრაბახობდა, რომ ათეისტი იყო, მაგრამ როდესაც გამოცდები იწყებოდა, დახმარებისათვის ჩუმად ლოცულობდა ღვთის მიმართ. მისი ათეიზმი შორს ვერ მიდიოდა.

რეალურად ადამიანთა უმრავლესობა ამას განიცდის. ისინი აცხადებენ, რომ არ ჯერავთ არც ღმერთის და არც ბიბლიის. მაგრამ ღამით მარტოდ მყოფი, როდესაც მარტოობის შეგრძნება და საშიშროების წინაშე დგომის განცდა გეუფლება, იმ მომენტში ღმერთი აღწევს შენს ფიქრებში და ხშირად ლოცვა აღმოგხდება ბაგიდან.

შესაძლოა შენც გტანჯავს მნუხარებისა და განგაშის გრძნობა. მოუსვენრობა, რომლის ახსნა და განმარტება არ შეგიძლია. ის, რაც ცხოვრებას მუდმივ აბსურდად აქცევს.

გაქვს ასეთი განცდა? არ აქვს მნიშვნელობა თავს კარგად გრძნობ თუ ყველაფერი შენს საწინააღმდეგოდ მოქმედებს, ცხოვრება ზოგადად ბრძოლაა. მაგრამ არსებობს საშველი. უპირველეს ყოველისა ეს ღმერთია, რომელიც შენ არ გწამს, არადა ის შენ დაგეძებს.

## **ღმერთი გეძებს შენ**

შენ არ ეძებ ღმერთს. შენ არანაირი ურთიერთობა არ გსურს მასთან, მაგრამ ღმერთი მაინც დაგეძებს შენ. მას შენთან ურთიერთობაში შემოსვლა სურს. ღმერთს შენ უყვარხარ, ამას ის მის სიტყვაში ამბობს. მიუხედავად იმისა გწამს თუ არა, ღმერთი მისი ძალით ყოველივეს აკეთებს, რათა მოგწვდეს შენ და თავისი გაგხადოს.

აუცილებელია იცოდე: ღმერთი არავის არ აიძულებს ძალით იქონიოს მასთან ურთიერთობა.

შენ ეს კარგად იცი, რომ კაცი ვერ აიძულებს ქალს, რომ მისი ცოლი გახდეს. რას ფიქრობ, როგორ იქნება ასეთი ურთიერთობა? თუ სიყვარულია, მაშინ ურთიერთობა უნდა დაშენდეს საერთო გადანყვეტილებაზე და პარტნიორთა თავისუფალ არჩევანზე.

ამგვარად, ჩვენი ღმერთთან ურთიერთობაც თავისუფალი

არჩევანი უნდა იყოს. მაშასადამე ღმერთი იწყებს ჩვენი მონოდებით და თავისკენ მიზიდვით. სწორედ ამიტომ ხშირად შენ გეუფლება აუხსნელი, მღელვარებით აღსავსე მოუსვენრობის გრძნობა და გინდა ის რაღაც, რისი ახსნა-განმარტებაც არ შეგიძლია.

ეს შფოთი იბადება, რადგან ადამიანი ღმერთთან ურთიერთობისათვის არის შექმნილი და მოსვენებას მანამდე ვერ იპოვის, ვიდრე მას ღმერთში არ ჰპოვებს.

## კატასროფა

დასაწყისში ადამიანი ღვთის ხატად იყო შექმნილი, და ის სრულყოფილი და უცოდველი იყო. მას ღმერთთან სრული და ბუნებრივი ურთიერთობა ჰქონდა.

იმავდროს ადამიანი განვითარებისათვის იყო შექმნილი. ის ჯერ გასრულებული არ იყო. სწორედ ამიტომ ღმერთმა მას ამოცანა დაუსახა. დაბადების 2-17-ში ვკითხულობთ, „ოღონდ კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხისგან არ შექამო, რადგან რა დღესაც შექამ სიკვდილით მოკვდები.“

რატომღაც კაცმა ვერ გაიგო თუ, რატომ უნდა დაეცვა ეს მცნება. ის ხვდებოდა, რომ ცოდნაში ზრდის უნარით იყო შექმნილი. ცოდნის მიღებაში ცუდი არაფერია. მაგრამ ეს აკრძალვა იმდენად ძნელმისახვედრი იყო ადამიანისათვის, სწორედ ის შეიქმნა ტესტად, ღვთის მორჩილების გამოცდის ჩასაბარებლად.

კაცს, რომ ეს გამოცდა გადაელახა, მაშინ ის ცოდვაში ჩავარდნის გარეშე ისწავლიდა ღმერთსა და ბოროტს შორის სხვაობას, და მით, ღვთის მტერი არ გახდებოდა.

სამწუხაროდ ეშმაკმა, მისი სულის მტერმა ამით ისარგებლა.

სატანა, რომელიც ღვთის მონინააღმდეგე დაცემული ანგელოზია, სავარაუდოდ ანგელოზთა დასთა შორის ყველაზე აღმატებულია. შემოქმედების დასრულებისთანავე, ის ღვთის წინააღმდეგ აღდგა. ის ღვთის მტერი და ოპონენტი არის და მუდმივად ასე დარჩება. მისთვის გადარჩენის არანაირი

შესაძლებლობა არ არსებობს.

იესო გვეუბნება, რომ ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის საუკუნო ცეცხლია გამზადებული (მათ. 25:41). საუკუნო ცეცხლი ადამიანისათვის არასოდეს

# „ნუთუ მართლა თქვა ლეიტეა?“

ყოფილა ჩაფიქრებული და თუ ვინმე იქ ამთავრებს ცხოვრებას, უნდა ვიცოდეთ, რომ ღვთის ნება ეს არასოდეს ყოფილა, ვინაიდან მისი ნებაა ყველა ადამიანი გადარჩეს (2ტიმ. 2:4).

ვინაიდან სატანა ღმერთს ეწინააღმდეგება, ის შენს წინააღმდეგაცაა. ამიტომ მისი უდიდესი სურვილია, კაცობრიობისათვის ღვთის გადარჩენის გეგმა ჩაშალოს.

სამოთხეში გველი ევას, როგორც ცბიერმა და მზაკვარმა ცხოველმა ისე დაუპირისპირდა. წერილის მიხედვით ის ყველაზე ცბიერი იყო.

ეშმაკი პირველად ევას შეხვდა, რომელსაც მცნება ქმრისგან ჰქონდა მხოლოდ მოსმენილი და არა პირდაპირ ღვთისაგან. გველი უთუოდ ღვთის მიერ აკრძალულ ხეზე იყო აცოცებული.

სავარაუდოდ ევა შთაბეჭდილების ქვეშ მაშინ მოექცა, როდესაც გველმა დაუწყო მას საუბარი და იფიქრა კიდევ, რომ ღმერთმა განიზრახა მისთვის, რაღაც განსაკუთრებული. მანამდე ქმრის გარდა სხვაზე არავისთვის მოესმინა, აგრეთვე მან იცოდა, რომ ღმერთიც ლაპარაკობდა. უეცრად მას მოსაუბრე გველის ხმა მოესმა, რომელიც მიზანმიმართულად ბაძავდა ღმერთს და მის კოპირებას ახდენდა, რათა ევა შეეცდინა.

„ნუთუ მართლა გითხრათ ღმერთმა...?“ (დაბ. 3:1) გველი კითხვით ამგვარად მიმართავს.

მოისმინა რა ევამ დასმული კითხვა, ეგონა გველი ღვთის მიერ მოცემული მცნების ჭეშმარიტების დამტკიცებას ცდილობდა.

როდესაც სატანამ ჰკითხა, „ნუთუ მართლა გითხრა ღმერთმა, ბაღის არცერთი ხის ნაყოფი არ ჭამოთო?“ ის ამდრომზაკვრობდა. მან ამით ევა აიძულა ბიბლიაში გადმოცემულ რეალურ საკითხზე დისკუსიაში შეეყვანა.

ყურადღება გავამახვილოთ ამ ადგილზე: ვინაიდან ყოველი ცოდვა და ურწმუნოება სათავეს იდებს კითხვაში, „ნუთუ

ბიბლია მართლა ამას გულისხმობს? შეუძლებელია ბიბლია ამას მიუთითებდეს? დიახ, ის ამას მართლა ამბობს, მაგრამ სხვა ისტორიულ პერიოდშია დაწერილი, და ა. შ.“

ჩვენ ანალოგიურს ვხედავთ დღეს, ვინაიდან ძალზედ ადვილია დავიწყოთ დისკუსია და კითხვის ქვეშ დავაყენოთ ღმერთის სიტყვა: — რა არის ეს? ნუთუ შესაძლებელია ღმერთს ეს ეგულისხმა?

აღბათ ხვდები, რომ აქ ახალი არაფერია. პირველი შემთხვევა კატასტროფით დამთავრდა. მის შემდეგ ის უამრავჯერ განმეორდა. სატანამ ევა ხეზე ყურებით აცდუნა. დაბადების 3:6-ში ნათქვამია, რომ ევამ შეხედა ხის ნაყოფს და ის იყო კარგი და თვალისთვის საამო, აგრეთვე სასურველი სიბრძნის მოსახვეჭად.

შემდეგ მან მოწყვიტა და ჭამა. მან მის ქმარსაც მიანოდა ის და მანაც ჭამა. აი ასე მოხდა კატასტროფა. ცოდვა შემოვიდა ნუთისოფელში, ხოლო ცოდვის მიერ სიკვდილი.



„თითქმის დარწმუნებული,“ მოდი, მოდი დღეს;  
„თითქმის დარწმუნებული,“ ზურგს ნუ შეაქცევ ღმერთს;  
იესო გიხმობს აქ და გარს გეხვევიან ანგელოზები;  
ლოცვა გულიდან მოჩქებს და სასწაულების იწყება ჟამი.

„თითქმის დარწმუნებული,“ სამკალს იღებ დღეს!  
„თითქმის დარწმუნებული,“ სასჯელს უქცევ გვერდს!  
„თითქმის“ არ არის შემძლე, „თითქმის“ მარცხია მხოლოდ!  
ისმის ღალადი მწარე, ეგ „თითქმის“ დამთავრდეს მალე.

# ვინ არის იესო?

ეს იესოა, რომელიც ამბობს: მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ!“  
(მათ. 11:28).

## ჩვენ მრავლად გვაქვს მძიმე ტვირთი

დღეს ბევრია მშფოთვარე, უკუგდებული, მარტოდ მყოფი და მწუხარე, დიახ ისინიც კი ვინც მაღავენ ყოველივე ამას. ეს სიმართლეა: ნებისმიერი ვინც ღმერთთან ურთიერთობას სერიოზულად მოეკიდება, განცდა სიმძიმისა უფრო მატულობს.

ყველაზე დიდი ტვირთი საკუთარ სინდისზე მოდის, რომელიც გვასამართლებს და ბრალს გვდებს, მაშინ, როდესაც ღვთის წმიდა ნათელში საკუთარი თავის დანახვას ვინწყებთ. ის მსჯავრს გვდებს ყოველი ჩვენი ურჩობისათვის, ცდუნებისა და ღალატისათვის, ყოველი ნათქვამის, ბოროტი მოტივისა და უამრავი სხვა რამისათვის. მოკლედ, რომ თქვათ, ყოველივე იმისათვის, რის გამოც ერთ დღეს ღვთის წინაშე წარდგომისას ანგარიშს ჩავაბარებთ მას.

ვინც ამ მძიმე ტვირთის ქვეშ გმინავს, იცის რა არის მშვიდობის გარეშე მოუსვენრად ყოფნა.

ადამიანი, რაც უფრო ცდილობს თავი დააღწიოს ამ მდგომარეობას, მით უფრო ნათელი ხდება ტვირთის სიმძიმე და აუტანლობა. ამას თან ემატება სხვა ტვირთიც, ავადმყოფობა, ტანჯვა და ღალატით გამონეული სასწონარკვეთილება. ყოველგვარი დარდი. ზოგისთვის მთელი ცხოვრება ტვირთია.

იცით თუ არა ამის შესახებ რაიმე? თუ ეს ასეა, მაშინ იესოს შენთვის სიტყვა აქვს. ის შენ გეპატიჟება. „დიახ,“ ამბობ შენ, „მაგრამ, როგორ გავხადო ეს მოპატიჟება ჩემი?“ სხვანი ამბობენ, „შესაძლებელია დავიჯერო, რომ მას ისეთის მიღება შეუძლია, როგორიც მე ვარ?“

მოდით ჯერ ის განვიხილოთ თუ სიტყვა, იესოს შესახებ რას ამბობს და შემდეგ პირვანდელ კითხვას დავუბრუნდეთ.

## 306 არის იესო?

არსებული მუხლი ცხადლივ აჩვენებს, რომ ამ მოწოდების ავტორი იტყვირთავს ამ ტვირთს, რომელიც ჩვენთვის ძალიან მძიმეა სატარებლად. იესოა მხოლოდ მიჩნეული შემძლე ამ ტვირთის მატარებლად. ღვთის სიტყვის თანახმად მან ჩვენი ცოდვა ჯვარზე იტვირთა. იოანე ნათლისმცემელი მისკენ მიუთითებს და აცხადებს: „აი ღმერთის კრავი, რომელიც ნუთისოფლის ცოდვას იტვირთავს!“ (იოან. 1:29)

ღმერთის ძე კაცი გახდა, რათა ცოდვა, რომელიც ღვთისგან გვეყოფთა ჩვენგან წაეღო. ის ცოდვა, რომელიც ღმერთსა და ჩვენს შორის იდგა. გოლგოთაზე სწორედ ეს მოხდა, იესომ ის საფასური გადაიხადა, რაც გვმართებდა და რისი გადახდა ჩვენ არ შეგვეძლო.

ამიტომ ესაია წერს: „შენი ცოდვებით მამძიმებდი და შენი ურჯულოებით მქანცავდი. მე, მე ვარ ის, ვინც დანაშაულს ჩამოგბანს ჩემივე გულისათვის და შენს ცოდვებს არ გავიხსენებ“ (ეს. 43:24,25).

ესპასუხი შენთვისაა, ვისაც გაინტერესებთ, გეკუთვნის თუ არა ეს მოწვევა შენც. თუ მან უმძიმესი ტვირთი აზიდა, მაშინ ყველა დანარჩენ ტვირთსაც წაიღებს. შენ შეგიძლია ყველაფერი მას დააკისრო და ყველაფერში ენდო მას. ის თავად მოგმართავს და გეუბნება, „არაფერზე იდარდოთ, არამედ ყოველგვარ ლოცვასა და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს და ღვთის მშვიდობა, რომელიც ყოველგვარ გონებას აღემატება, დაიცავს თქვენს გულებს და თქვენს ფიქრებს ქრისტე იესოში“ (ფილიპ. 4:6,7).

## სვლავით მოსვენება, როგორ მიიღწევა?

ხედავ, მოსვენება ქრისტეში მიიღწევა? იმის ცოდნით, რომ ცოდვა მოცილებულია, ყოველი ცოდვა მეპატია და ღვთის სასამართლოს აღარ ვექვემდებარები. აი ეს მაძლევს

მშვიდობას და დარწმუნებულობას იმისა, რომ მე ღვთის შვილი ვარ. მე შემძლია დავეყრდნო იმ ფაქტს, რომ იესოა ჩემზე პასუხისმგებელი, მიუხედავად იმისა თუ რა ხდება, დიახ, თუნდ ჩემს განსაცდელსა და გაჭირვებაშიც.


ალექსანდრე, რომელსაც იესო ამ მოწოდებასთან კავშირში იძლევა, ცარიელი სიტყვები როდია.

პასუხი მათთვის თუ როგორ უნდა მივიდეს იესოსთან ასეთია. იოანეს 6:35-ში იესო ამბობს, „ჩემთან მომსვლელს არ მოჰქვია და ჩემს მორწმუნეს არასდროს მოსწყურდება.“

იესო ამბობს, რომ მასთან მისვლა და მისი რწმენა ერთი და იგივეა. მიხვიდე მასთან იგივეა, რაც მისდამი ნდობის დანყება. იკითხო მის შესახებ, ისმინო მასზე, უგალობო მას, იყო მის მორწმუნეებთან ერთად და მასზედ ილოცო, ვიდრე გული შენი ბოლომდე არ მიენდობა მას.

ხოლო, როდესაც გული მისკენ მიიდრიკება, მაშინ ჭეშმარიტად მასთან მისული ხარ.

ეს ჭეშმარიტება ბროლივით გამჭვირვალედ ჩანს ფსალმუნის 37:40-ში, სადაც ასეთ სიტყვებს ვკითხულობთ, „ბოროტთაგან იხსნის და გადაარჩენს უფალი, რადგან მასში ეძებენ თავშესაფარს.“



ო, სიყვარული, რამაც ხსნის გეგმა მოიტანა!  
ო, მაღლი მისი, მაღლიდან, რომ მოგვევლინა!  
უფსკრული კი, რაც რომ ღმერთთან გვაშორებდა,  
გოლგოთის მთით დასრულდა ეს განშორება!

მაღლი მისი დიდია და უსასყიდლო;  
მიტევება მისით მე, რომ გამიმრავლდა;  
სული ჩემი მშფოთვარე და გამომშრალი,  
გოლგოთაზე დამშვიდდა და დამინყნარდა!

# სსსსში დარწმუნება

„ხოლო რწმენა არის მტკიცე დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ“  
(ებრ. 11:1).

## ეს ბრძოლა არ არის

ებრაელთა 3:14-ში ამ სიტყვებს ვკითხულობთ: „ვინაიდან ქრისტეს თანაზიარნი გავხდით, თუკი რწმენის საწყისს მტკიცედ დავიცავთ ბოლომდე.“

მსგავსი სიტყვების მოსმენისას მთელი მონადინებით ვიწყებთ შინაგანზე ყურადღების გადატანას, შინაგანი ადამიანის არსებითად განხილვას, რადგან ვეძიებთ, რაღაც გრძობას თუ დაჯერებულობას, რომელიც თავს დარწმუნებულად გვაგრძობინებს. ჩვენი აზრით ასე უნდა ვიქცეოდეთ, ვინაიდან ნაკითხული მუხლი ასე ამბობს, „დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს.“ დარწმუნებულობა კი მხოლოდ გულში თუ მოიძებნება და არა სხვაგან.

მაგრამ ასეთი წრფელი ადამიანი, რაც უფრო ეძებს ამგვარ გულისმიერ დარწმუნებულობას მით ეჭვიანი ხდება. ამ საკითხში მრავალი მებრძოლი სული პასუხგარეშეა. როგორც კი რწმენაში დარწმუნებულობაზე მოისმენენ, ეგრევე კარგავენ სიმშვიდეს და მოსვენებას, და სასონარკვეთას მიეცემიან. ნუთუ ამაზე საუბრობს სიტყვა?

ამ საკითხზე პასუხის მოსაძიებად კარგად უნდა დავაკვირდეთ წმიდა წერილში მოთხრობილ მორწმუნეთა მაგალითებს. მაგრამ ვიდრე ამას გავაკეთებთ, ასეთი კითხვა დავსვით.

## საიდან მოდის დარწმუნებულობა?

შენ მალე აღმოაჩენ იმას, რომ მხოლოდ საკუთარ თავში ძიებით

შეუძლებელია დარწმუნებულობა შეიძინო. წარმოიდგინეთ, რომ ვილაც მოდის და ისეთ რამეს გეუბნება, რომ ბედნიერებისაგან ჭკუაზე გადადიხარ, შემდეგ მოგვიანებით იკითხავ, „კი მაგრამ საიდან იცი, რომ ეს ასეა?“ „ვინ გითხრა ეს ამბავი?“ ათვითცნობიერებ იმ ფაქტს, რომ შეუძლებელია გარეშე პირის ერთი-ერთზე ნდობა. ნდობა სანდოობაზე ემყარება. ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ დარწმუნებულობა დაფუძნებულია ჩვენ მიღმა მომხდარ ფაქტებზე. ხოლო ეს ის ფაქტებია, რომელნიც ჭეშმარიტებას ამტკიცებენ და დაგარწმუნებთ იმაში, რომ მომხდარი რეალობაა.

დარწმუნებულობა, რომელიც გრძნობებს ეფუძნება, ან ასე სურს და სწადია, რომ იყოს, რეალურად ურწმუნოებაა. რა გარანტია გვაქვს იმისა, რომ არსებული გრძნობა სწორია? ან რაც გვსურს, განა ის გახდება ჭეშმარიტება?

თუ ეს ჩვენს ყოველდღიურობაში ასეა, მაშინ ის მარადიულ საკითხებშიც იგივე უნდა იყოს: სულის დახსნის საკითხში.

რა დახმარებას გამიწევს ის, თუ მწამს, რომ ქრისტიანი ვარ? ან თუ მიმაჩნია, რომ ღვთის შვილი ვარ? ურიცხვია იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც სწამთ, რომ ქრისტიანები არიან და ღვთის შვილებად მიაჩნიათ თავი, მაგრამ რეალური ქრისტიანობა მათ არასოდეს განუცდიათ. ამიტომ ცუდის ნიშანი არ არის ის, რომ კაცს არ შეუძლია საკუთარ გულში ძიებით რწმენით აღძრული დარწმუნებულობა განიცადოს.

მაგრამ ჩვენ რწმენის ურღვევი და მტკიცე საფუძველი მოგვეცა — საფუძველი, რომელიც დარწმუნებულობას გვანიჭებს. ახლა კი ამ საფუძველს სიტყვის სინათლეზე უფრო ახლოს დავაკვირდებით.

## ისინი, რომელთაც სწამთ

ებრაელთა მეთერთმეტე თავი გვთავაზობს ურიცხვ მაგალითებს იმპირთა შესახებ, რომელნიც საკუთარ გადარჩენაში დარწმუნებულები იყვნენ. მათ, როგორც მორწმუნეებს შეეძლოთ სიკვდილი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი და ქვეყნიერება დაემარცხებინათ.

მათ ვერ არყევდა დევნა, უიმედობა, გაჭირვება და სიძნელეები. მტკიცენი მიტომ იყვნენ, რადგან საკუთარ სინდისში იყვნენ შეურყეველნი. მათ იცოდნენ ის ფაქტი, რომ საკუთარ ღმერთთან აქვთ ურთიერთობა და გადარჩენილნი არიან. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საუკუნო სიცოცხლეს ფლობდნენ. აი ეს არის ის, რაც ჭეშმარიტ მორწმუნეებს ახასიათებთ.

## **რატომ იყვნენ ასე დარწმუნებულნი?**

ამას საკუთარი გამოცდილებიდან იღებდნენ?

აქ ღვთის სიტყვა საოცარ საკითხზე აკეთებს აქცენტს, „რწმენაში დაიხოცა ყველა მათგანი, ისე, რომ ვერ მიიღეს ალტეშული, მხოლოდ შორიდან უყურებდნენ და ესაღმებოდნენ...“ (მ.13).

ეს საკითხი გაუგებრად არ უნდა დავტოვოთ. ნაკითხული იმავე თავში მოცემულ მუხლებთან კონტექსტში უნდა დავინახოთ, სადაც წერია, „და ყველა მათგანმა რწმენის მეშვეობით მიიღო მონაპობა, მაგრამ ვერ მიიღო ალტეშული, იმის გამო, რომ ღმერთმა წინასწარ გაითვალისწინა ჩვენთვის მეტი სიკეთე, რათა ისინი უჩვენოდ არ გამხდარიყვნენ სრულქმნილნი“ (მ.39,40).

რაც ჩვენ აღსრულებული ვიხილეთ, ამ ხალხს არ უნახავს, მაგრამ ისინი დაჯერებული იყვნენ თავიანთ იმედში და დარწმუნებული იმაში, რასაც ვერ ხედავდნენ. ეს ჰქონდათ მათ მცნებად დადებული. ეს დარწმუნებულობა იყო მათი ცხოვრება, ამიტომ ისინი განიცდიდნენ დევნას და ტანჯვას, და მისი გულისთვის კვდებოდნენ კიდევ.

დღევანდელ ქრისტიანზე იგივე შეიძლება ვთქვათ. მას ჯერ არ განუცდია თუ, როგორ დაიცავს ხსნა მას სიკვდილიდან, არც ის უნახია თუ, როგორ იქნება დახსნილი უკანასკნელი დღის ღვთის სასამართლოდან. მაგრამ მას ახლავს შეუძლია სრულიად დარწმუნებული იყოს ამაში და იქონიოს დაჯერებულობა იმისა, რომ ყველაფერს გაუძლებს და ყველაფერს გადალახავს.

ასეთი დაჯერებულობა, რწმენის დარწმუნებულობაა. მას შეიძლება წინ აღუდგნენ, გამოსცადონ, შეაჭირონ, გასცენ

და განირონ, მაგრამ იმავდროს იყოს ურყევი რწმენაში, რომ სიკვდილის შემდეგ ის წავა სახლში უფალთან და სასამართლოს დროს ღვთისგან იქნება ცნობილი.

## **როგორ მიიღწევა დარწმუნება?**

მოცემული დარწმუნება გამოცდილებიდან არ მიიღება, რადგან ქრისტიანს ის ჯერავეს, რაც ჯერ არ განუცდია.

კითხვის პასუხის გასაცემად დაფუძრუნდეთ არსებულ ტექსტს.

მაგალითად, რამ დარწმუნა აბრაჰამი? „ისე წავიდა, რომ არ იცოდა სად მიდიოდა.“ როდის გახდა აბრაჰამი დარწმუნებული? როდესაც ღვთისგან აღთქმულ მიწაზე მივიდა, თუ როცა საკუთარი მამული დატოვა?

როდის დარწმუნდა იმაში, რომ მას ძე ეყოლებოდა? მხოლოდ მაშინ, როცა ძე შეეძინა? არა, გაცილებით ადრე ვიდრე ეს მოხდებოდა. აბრაჰამი შეუძლებელი მდგომარეობების მიუხედავად მტკიცე იყო, სადაც იმედი არ იყო იმისა, რომ ღვთის აღთქმული აღსრულებოდა. აი ეს არის რწმენის დარწმუნებულობის საიდუმლოება. კაცი მაინც, რომ დარწმუნებულია, მიუხედავად ფაქტისა, რაც ადამიანური პერსპექტივიდან გამომდინარე იმედი ყოველგვარ აზრს მოკლებულია.

თუ, როგორაა ეს შესაძლებელი ღვთის სიტყვა მმართველს. ჩვენ ვკითხულობთ სარასთან მიმართებაში, „აღმთქმელი ერთგულად მიიჩნია.“ აქ რწმენის დარწმუნებულობას ვხედავთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ღვთის სიტყვა რეალობად ცნო, ვინაიდან ღვთის ჩვენდამი ნათქვამი უტყუარია. და ეს იმას ნიშნავს აგრეთვე, რომ მიუხედავად ცხოვრებისეული მდგომარეობებისა ამ სიტყვას უნდა დავეყრდნოთ და მივენდოთ.

სიტყვა „დარწმუნება“ ბიბლიური ორიგინალური ენიდან გამომდინარე, გრძნობას ან გამოცდილებას არ ნიშნავს, არამედ საფუძველს, რომელიც ღმერთმა ჩვენი ხსნისა და კეთილდღეობისათვის დადო. ვინაიდან ღმერთმა სწორედ ასეთი

საფუძველი და დოქტრინის. ძველი ალტემაისას ალსრულებული ჯერ არ იყო, მაგრამ ალტემა მათაც ეკუთვნოდათ. ამიტომ ახლა მოცემული საფუძველი გასრულყოფილებულია.

ამ საფუძველს ქრისტი იესოში ღვთის მაღლი ენოდება. ის მარადისობიდან მოგვეცა, მაგრამ ჩვენს ისტორიაში ღვთის ძის მეშვეობით ალსრულდა, რომელიც ჩვენი გამომსყიდველია და რომელმაც საკუთარი სისხლით ნაშალა ჩვენი ცოდვები.

მოცემული საფუძველი ღმერთმა ჩვენი გადარჩენის იმედის ბაზისად გვიქცია. მორწმუნეებმა იციან, რომ იმედი, რომელიც ფაქტებზეა დაფუძნებული ჭეშმარიტია და მსგავსი იმედი გამართლებული.

ეს არის ის, რისი მტკიცედ შენახვაც გვმართებს. ჩვენ გვაქვს ის, რაც ღმერთმა მოგვანიჭა, რაც ღვთის მაღლია ქრისტი იესოში. ჩვენ მონოდებული არ ვვართ, რომ მივინდოთ და აყვეთ საკუთარ გრძობებს, გამოცდილებებს, სიხარულის და მშვიდობის განცდას და ა. შ. ყოველივე აქ ჩამოთვლილი მაღლის რეზულტატია. მაგრამ ისინი თავად მაღლი არ არის. რასაც უნდა დავეყრდნოთ და ჩავეჭიდოთ, ეს იესო ქრისტეში ალსრულებულია საქმეა.

## **დარწმუნება, იესო ქრისტეს და მისი სიტყვის რწმენით იქმნება**

იქონიო იესო ქრისტეში გადარჩენის პირადი დარწმუნება, მისდამი რწმენის ქონის იდენტურია. სიტყვა იესო ქრისტეზე ჩვენს გულში რწმენას ქმნის. სიტყვას ჩვენში დაჯერება მოაქვს, ვინაიდან ღმერთი გველაპარაკება ჭეშმარიტად, როდესაც ის იმის შესახებ გვამცნობს თუ ქრისტეს მეშვეობით რა მოგვენიჭა. შეუძლებელია დაინახო, რომ სიკვდილის მეშვეობით გადარჩი. შეუძლებელია დაინახო, რომ სამსჯავროზე გამართლებული ხარ. მაგრამ გულში ურყვევი იქნება საკუთარი ვინაობის შესახებ დარწმუნება. ამიტომ სრული დაჯერებულობა იქონიე იმაში, რომ ყოველივე ამას გადალახავ.


მაშასადამე შენ წვდები თუ რაოდენ არასწორი ხარ, დიახ,

რაოდენ საშიშია მზერა მიაპყრო შენს შინაგანს, როდესაც კითხვა რწმენის დარწმუნებულობას ეხება. შენ გარეთ უნდა იცქირო. როგორც წინასწარმეტყველი ამბობს, „უფალს მივაპყრობ ჩემს მზერას.“

დანყებული გაქვს უფალზე მზერის მიპყრობა? დაიწყე ღვთისგან შენდამი მოცემულზე დანდობა?

არის თუ არა უფლის მიერ დადებულ ფუნდამენტზე შენი ცხოვრება დაფუძნებული?

ღმერთმა მოგვმადლოს ის, რომ მან ვინც ოდესღაც იესოს გვერდი აუარა და არ მიიღო, ახლა შემობრუნდეს მისკენ. ხოლო მისმა მორწმუნე მოგობრებმა არასოდეს დავივიწყოთ, რომ რწმენის დარწმუნებულობის საფუძველი თავად იესოა.



*შემდეგ თომას უთხრა: გამოიწოდე შენი თითი და ნახე ჩემი ხელები. გამოიწოდე შენი ხელი და ჩადე ჩემს ფერდში, ურწმუნო კი ნუ იქნები, მორწმუნე იყავ!“*

იოანე 20:27

# ოსომ შიპოვს მე!

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქნუთ პეტერსონი მქადაგებელი იყო. წლების განმავლობაში ღვთის სიტყვით ის სანფჯორდში (ნორვეგია) არსებული მისიის მეშვეობით მოგზაურობდა, ხოლო 1978 წლიდან მოყოლებული აგდერის მხარეში, ნორვეგიის ლუთერანული მისიის ეგიდით განაგრძობდა მოღვაწეობას. მანამდე ქნუთი, როგორც მქადაგებელი მსახურობდა და იმავდროს ფლექეროის კუნძულზე მოსიარულე გემის ეკიპაჟის წევრიც იყო, ამჟამად ამ კუნძულამდე ტუნელია გაყვანილი. ქნუთი მის ოჯახთან ერთად ამ კუნძულზე ცხოვრობს.

## როგორ მოხდა, რომ იესომ მიჰოვა მე?

წუთისოფლის შექმნამდე მე ღვთის აზრსა და გეგმაში ვიყავი (ეფეს. 1:4). მან ჯერ კიდევ მაშინ აღძრა ვილაცის გული ჩემთვის სალოცავად, როცა დღის სინათლე არ მქონდა ნანახი. მოგვიანებით მისმა სიტყვამ ჩემამდე მოაღწია და ბავშვობიდან მოყოლებული მე იესოსთან გავატარე ცხოვრება.

ახალგაზრდობაში ფლექეროიში არსებულ მსახურებებზე დავდიოდი. აგრეთვე ახალგაზრული მსახურების ნაწილიც გახლდით. გარეგნულად ყველაფერი კარგად ჩანდა. მაგრამ ღვთის სიტყვა ელაპარაკებოდა ჩემს გულს და რეალურად ეს იყო ყველაზე მთავარი მოვლენა. ღმერთთან ამ გამოცდილებამ აზრთა ჭიდილი გამოიწვია. სასონარკვეთილს ცოდვამ მძლია და მე დავიკარგე.

ადამიანებიდან მსმენოდა, რომ ამბობდნენ, „ილოცე იესოსადმი, ის შეგენევა. შეუძლებელია საკუთარი ძალით, როგორც ქრისტიანმა იცხოვრო.“ დიახ, მე ვილოცე და კარგად მახსოვს ჩემი მრავალჯერადი ღალადი. მაგრამ ეს არ დამეხმარა. მე კვლავ დაკარგული ვიყავი. შემდეგ გამახსენდა ისეთი რამ,

რამაც უფრო მეტად შემადრწუნა. ზოგადად ცუდი შეგრძნებების გარეშე ვინყე შეცოდება. გარეგნულად ისე ჩანდა, რომ იგივე ვრჩებოდი. ერთ დღეს ასაკოვან ქრისტიან პიროვნებასთან ნავედი, რომ მისთვის გამემხილა ჩემი მდგომარეობა, „მე არ ვარ ის პიროვნება, რადაც ხალხს მივაჩნივარ, არამედ რეალური ჩემი მე ასეთია.“ ამრიგად ყოველივე ვალიარე.

## სიმშვიდის წინამძღოლი

სრულად არ მახსოვს თუ რა მესაუბრა მან, მაგრამ ერთი რამ საოცარი კი ნამდვილად ვისწავლე იმ დღეს. როდესაც მას ვტოვებდი როზენიუსის წიგნი მაჩუქა, სახელწოდებით: სიმშვიდის წინამძღოლი. ამ წიგნს ხშირად ვკითხულობდი, განსაკუთრებით კვირა შუადღით. ის რეალურად მელაპარაკებოდა. არ დამავიწყდება ის ადგილი წიგნისა, სადაც წერია, „ახლა თქვენ ხართ ცივი, მყიფე და ინდიფერენტული.“

აი ასეთი ვიყავი სწორედ მე. მინდოდა ქრისტიანად ყოფნა და სხვა აზრი საერთოდ არ მანუხებდა. თუმცა ღვთისადმი ინდიფერენტული გავხდი, დიახ შემძლო ცოდვა ჩამედინა და დიდად არ მენაღვლა მასზე. ამიტომ ჩემს თავს ვუთხარი: „ზურგი გაქვს შექცეული ღვთისგან.“

გარდამტეხი გამოცდილება გახდა შემდგომში ნაკითხული, „აი ეს არის ის თუ რჯული, რას გაჩვენებს. ახლა ხედავ თუ, როგორი იყავი აქამდე, მანამდე კი ამას ვერ ამჩნევდი.“ ასეთნაირად, ჩემთან მყოფი ღმერთი მიცხადებდა ჩემს ვინაობას.

ჩემთვის ნათელი გახდა, რომ იესო ჩემნაირთათვის მოკვდა. მე, რომელმაც ღმერთს ზურგი ვაქციე, ახლა მხოლოდ მისი მადლით იყო შესაძლებელი მის შვილად ვქცეულიყავი.

სახლში მისული საწოლზე დავემხე და ბენიერებისაგან და გოცებისგან ტირილი დავინყე. ახლა ვხედავდი იმას, რომ ტვირთი, რომელიც ღვთის წინაშე მომქონდა, აღარ მეკუთვნოდა. ჩემგან მოშორებული, იესო ქრისტეს ჰქონდა აღებული. ყველაფერი, რაც მამძიმებდა, ერთბაშად ჩამომცილდა.

## **რა გააკეთა იესომ ზნეთის?**

მაოცებს იმაზე ფიქრი, თუ როგორ დაიმსხვრა ღვთის გული, რათა მე ცოდვებისაგან და მისი სამსჯავროსგან დავეხსენი. ის მუდამ მისი მადლით მეგვებოდა და არა ჩემი დამსახურებისამებრ. ეს მოვლენა კი მუდმივი ჩემი გაცემის მიზეზი იყო.

## **ჰინ იყო იესო?**


ის ღმერთია, ღვთის საკუთარი ძე. იმავდროს ის ადამიანიცაა. ის ამ მიზეზის გამო შეიქმნა კაცად, რათა ჩვენი მხსნელი გამხდარიყო.

## **როგორ ხდება ქრისტიანად ყოფნა?**

ეს არის შერწყმა უდიდესი სიმდიდრისა და უცნაური ბრძოლისა. ადამიანურ სიცოცხლესთან დაკავშირებით, ჩემი გამოცდილებიდან მინდა გითხრათ, „არაფერს შეუძლია ისეთი ნამდვილი, კეთილი და მდიდარი ცხოვრების შექმნა, როგორც ღვთის სიტყვას.“

იმავდროს უნდა ვაღიარო მტანჯველი ფიქრი იმისა, რომ მოხუცი ჩემი სხეული კვლავ ისევ მოუქნელი რჩება, ისე, როგორც წინათ. ის კვლავ მტრულადაა განწყობილი ღვთის მიმართ, ინდიფერენტული, ცივი და ცოდვისადმი მიდრეკილი. ეს ფაქტი ჩემი ხშირი დარდის მიზეზი იყო. ამიტომ მე საბოლოო, ზეცაში სრულ გადარჩენაზე მაქვს გადატანილი ყურადღება. იქ მე იესოს რეალურ სახეს ვიხილავ, სრულად აღვასრულებ ღვთის სიტყვას და არასოდეს გამიჩნდება ცოდვის ჩადენის სურვილი.

უნდა ვაღიარო, რომ ბევრი მაქვს იესოს მიმართ სამადლობელი. უბრალოდ დაფიქრდი, მან მე მიპოვა და მარადიული სახლისაკენ წინ თავად მატარებს.



უძლურად მყოფი ცოდვის სნებებში,  
მან მე მიპოვა, რადგან მეძებდა,  
მხრებზე შემისვა კეთილმა მწყემსმა  
და მის ფარეხში მე დამაბრუნა.  
ვიდრე კარები ციური ქვეყნის,  
დაიგმანა და მთლად დაიკეტა.

ო, რა დიდია ეს სიყვარული!  
ო, სისხლი მისი გამომსყიდველი!  
ო, რა დიდია მადლი ჩემდამი,  
მადლი უფლისა, გადამრჩენელი!

# ზო აზრის ღვთის წინაშე შესწავლა?

პასუხი:

ღმერთის ნებაა შენი გადარჩენა. გადარჩენა ნიშნავს, რომ შენ ღვთის სამეფოში შედიხარ, სადაც ყოველი დახსნილი ადამიანი წმიდა ღმერთთან რჩება საუკუნოდ.

პავლეს ტიმოთეს მიმართ პირველ წერილში ვკითხულობთ, „რომელსაც ნებაა, რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების შემეცნებას. ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და კაცთა შორის შუამავალი — კაცი ქრისტე იესო. რომელმაც ყველას გამოსასყიდად გაიღო თავი, რისი მონობაც იყო თავის დროზე“ (1ტიმ. 2:4-6).

## მთავარი მინიშნება

ღმერთის ნებაა ჩემი გადარჩენა. მისი ნებაა შენი გადარჩენა. ერთმშვენიერ დღეს ჩვენი ცხოვრება ამ ქვეყანაზე დასრულდება. იმ დროს წარმოიშვება კრიტიკული კითხვა, შემთხვევებზე ზეცაში? ვარ კი მე ღვთისკენ მიმავალ გზაზე დამდგარი, თუ საუკუნოდ დაღუპვისაკენ მივდივარ?

არსებობს „გარესკნელი.“ ბიბლია მას დალუპვას უწოდებს. იესო ამბობს, რომ მატლი მისი არ კვდება და ცეცხლი მისი არ ნელდება (მარ. 9:48). იესო ამბობს, რომ ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს და მრავალნი დადიან მასზე (მათ. 7:13).

## გზა

ღმერთის ნება შენდამი არის, რომ იმ გზაზე იდგე, რომელიც ზეცის სიცოცხლეში შეგიყვანს. მისით სარგებელი არ გვექნება, თუ ნუთისოფლისგან შემონათავაზებს ყველაფერს უყუყმანოდ

მივიღებთ და ზეციური კარიბჭის სიახლოვეს ის დამთავრდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მენტვის არის დარწმუნებით იცოდე, რომ ზეცისკენ მიმავალ სწორ გზაზე ადგახარ და მისი ხსნის თანამოზიარე ხარ.

გამოცხადების 7:14-15 მუხლები ცხადად გველაპარაკება, რომ ერთადერთი გზაა ზეცისაკენ. ეს არის „განბანვა კრავის სისხლით.“

## **რა გააკეთა იესომ**

კრავი იესო ქრისტეა. ის არის კრავი ღვთისა, რომელიც დაახლოებით 2000 წლის უკან გოლგოთის ჯვარზე იყო მიღურსმნული.

მამა ღმერთმა იესოს, მის ძეს ყველა დანაშაული, ცოდვა და ურჯულოება დააკისრა, თუ რამ ჩაგვიდენია, შენ, მე და მთელ კაცობრიობას. დიახ, იესომ იტვირთა ყოველი ჩვენი ბოროტება, გონებისა, გულისა თუ საერთოდ ჩვენი ბუნებისა.

ბიბლია გველაპარაკება, რომ იესო ჩვენ გამო ცოდვა გახდა. ეს ნიშნავს, რომ ცოდვილად შეირაცხა (2კორ. 5:21). იესო წყეულიც გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მან ჩვენს ნაცვლად იტვირთა ღვთის რისხვა, მსჯავრი და სასჯელი (გალ. 3:13). მან ჩვენს წინააღმდეგ ხელწერილიც კი გააუქმა, რადგან ჩვენი დანაშაული მასზე იყო. ყველაფერი მას დაეკისრა. ყველა დანაშაული, რაც ღვთის რჯულის საწინააღმდეგოდ ჩაგვიდენია მას მიაწერეს. ჩვენ ხომ ღვთის ყოველი მცნება დავარღვიეთ (ათი მცნება). ჩვენ დამნაშავენი ვართ ღვთის მოთხოვნების და მისი რჯულის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამო (კოლ. 2:14). არადა რჯული ჩვენგან მოითხოვს, რომ უმნიკვლონი და ცოდვის გარეშე ვიყოთ.

## **ვინ შევა ზეცაში?**

მხოლოდ ის ვინც განიწმიდა და კრავის სისხლით განიბანა, საუკუნოდ შევა ზეცაში. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ მე

ყველა ჩემს ცოდვაზე ღვთისაგან ვლებულობ მიტევებას. მაგრამ, როგორ ხდება ეს? ეს ხდება აღსარებისას. რა არის აღსარება? აღსარება არის ჩადენილი ცოდვისადმი სინანული და რწმენა იესო ქრისტესი, როგორც მხსნელისა.

ჭეშმარიტი აღსარებისას ცოდვას თავისი სახელი ერქმევა. ხედავ რა შენს უნმინდურ აზროვნებას და გრძნობებს. ამ მდგომარეობას ვუნოდებთ, საკუთარი თავის დაკარგულად დანახვას. ღმერთს აძლევ უფლებას იყოს შენი მსაჯული. საკუთარ თავში ვერაფერ კარგს ვერ ნახულობ, ისეთს ვერაფერს, რის მიტანასაც ღვთის წინაშე შეძლებ (რომ. 7:18).

ამ დროს შენ გჭირდება იესო. ამ დროს მნიშვნელოვანი ხდება შენთვის, მის შესახებ მოისმინო, ვინც შენი ცოდვებისთვის მოკვდა. შენთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტია ის, რომ უფალი შენსა და ღმერთს შორის შუამდგომელი არის. მან აიღო თავის თავზე სასჯელი შენი ცოდვისა, ვინაიდან ის არის ზეცაში ღვთის წინაშე შენი მღვდელმთავარი, რომელმაც საკუთარი თავი მიიტანა მსხვერპლად.

## ისმინე!

შენი მხსნელი ცოცხალია. როდესაც კეთილი უწყება მესმის, ჩემს გულში რწმენა იქმნება და ახლდება. ახლა ვხედავ იესოს მიერ ჩემს ნაცვლად აღსრულებულს, რაც ჩემი გადარჩენისათვის სრულიად საკმარისია. იესოს გაკეთებულ ყოველ საქმეზე ღმერთმა „დიახ“ თქვა. როდესაც შენს ნდობას იესოზე ამყარებ, მაშინ ის ყოველ ცოდვას გიტევებს. ხოლო სისხლი იესოსი ყოველი ცოდვისაგან გწმენდს.

განწმენდა ღვთისათვის ღირებულია. იესოა მსხვერპლი, რაც თავად ღმერთმა გაიღო, რათა მის თვალთა წინაშე ყოველი ცოდვა მოეშორებინა. გოლგოთაზე ყოველი ცოდვა ქრისტეს სისხლით იქნა დაფარული. ღმერთი ქრისტეში მათ ველარ ხედავს. აი ასე გვწმენდს სისხლი იესოსი ყოველი ცოდვისაგან.

## ღვთის წინაშე განწმენდილი

ღმერთის ნებაა შენს ცხოვრებაში, რომ ყოველი შენი ცოდვა ნაპატიები იყოს. მაგრამ შენ ამბობ, „მე ისევ იმდენი ბინძური ფიქრი მანუხებს. გულში კიდევ ბოროტი სურვილები. ხოდა, ღვთის წინაშე, როგორღა ვარ განწმენდილი?“ საკუთარ თავში ისევ უწმინდური ხარ, რადგან კვლავ ბოროტ ბუნებას მფლობ. მაგრამ შენი განწმედა იესოშია. როცა იესო ირწმუნე, ღმერთი კრავის სისხლს ხედავს, სისხლს, რომელმაც მის თვალთაგან ცოდვა დაფარა.

ეს ღვთის ნება იყო მუდამ, რომ კრავის სისხლი შენთვის ცოდვისაგან განწმედის ერთადერთი საშუალება ყოფილიყო. როდესაც ეშმაკი მოდის და შენს ცოდვაზე მიუთითებს, აჩვენებს რა შენს სისუსტესა და უძლურებას, მაშინ იჩქარე შენი ბიბლიის გადაშლა. ის ადგილები წაიკითხე, რაც იესო ქრისტეში შენი ხსნის შესახებ ამბობს.

## დარწმუნებულება

თუ შენი გადარჩენისადმი გრძნობებით დარწმუნებულობას ეძიებ, მაშინ სულ მუდამ სასონარკვეთილი დარჩები. თუ შენ, რაღაც დიად გამოცდილებას ეძიებ, რაც დარწმუნებულობას შეგძენს, მაშინ სულ მალე დაკარგავ ყოველგვარ მხნეობას. არა შენი მზერა სულ მუდამ ღმერთზე უნდა იყოს და იმაზე, თუ რას ამბობს მის წმიდა სიტყვაში, ბიბლიაში. მასში კიდევ ის ამბობს, რომ ვისაც ძე ჰყავს, მას საუკუნო სიცოცხლე აქვს (1იოან. 5:12).

თუ ყველაფერი დანარჩენი ცხოვრებაში გაკლია, მაგრამ იესო გყავს, მაშინ შენ სიცოცხლე გაქვს. ილოცე სულიწმიდის მიმართ, რომ გაჩვენოს შენი ცოდვა და როგორც კი ეს მოხდება, იესოს საჭიროებას დაინახავ. ილოცეთ, რომ მან დაგანახოთ თუ ვინ არის იესო და რა გაგიკეთა მან შენ. ილოცეთ, რომ სულიწმიდამ გაპოვინოთ მოსვენება იმის დანახვით, თუ რას ამბობს ღმერთი მის სიტყვაში შენს გადარჩენასთან დაკავშირებით.

# შეძილო ბიბლიის ვენდო?

## ბიბლია თავის თავზე მოწმობს

რა არის ბიბლია?

რად აღიარებს ბიბლია თავის-თავს?

ბიბლია თავის-თავს ღვთის მიერ კაცობრიობისადმი ნათქვამ სიტყვას უწოდებს. ის მთლიანად მოლაპარაკე ღმერთია, რომელიც ადამიანთა მეშვეობით მთელ კაცობრიობას ელაპარაკება.

ბიბლიის სიტყვები კაცთა მიერ იქნა დაწერილი. „პირველ რიგში, უნდა იცოდეთ, რომ წერილის არც ერთი წინასწარმეტყველება არ განიმარტება თავისით. ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ აღძრულნი, ღმერთისაგან წარმოთქვამდნენ მას“ (2პეტ. 1:20-21). ღვთის სიტყვა სულიწმიდით არის შთაგონებული. „მთელი წერილი ღვთივსულიერია და სასარგებლოა სასწავლებლად, სამხილებლად, გამოსასწორებლად და დასარიგებლად სიმართლეში“ (2ტიმ. 3:16). ღვთის სიტყვა არის ის სიტყვა, რომელიც აღწევს მიზანს და „ფუჭად არ დამიბრუნდება იგი, რადგან იმას მოიმოქმედებს, რაც მსურს და მიაღწევს იმას, რისთვისაც გავგზავნე“ (ეს. 55:11).

და რასაც ის აღწევს არ არის მცირე რამ. სიტყვა გამოძვრავს, შთაგაგონებს, გიხსნის და უნარგყოფს, რომ ამ წუთისოფელში ღვთისმოშიში ცხოვრებით იცხოვრო.

ბიბლია ადამიანური სიტყვები არ არის. ბიბლია ღმერთის სიტყვაა, რაც თავად ბიბლიის მოწმობაა.

როდესაც კითხვას ვსვამთ, რამდენად სანდოა ბიბლია, დასმული კითხვა არ ნიშნავს, შეიძლება თუ არა ადამიანური ლიტერატურის ნდობა. კითხვა მხოლოდ ერთ საკითხს ეხება, შეიძლება თუ არა ბიბლიას იმ სახით ვენდო, რადაც თავი მიაჩნია?

## იესო ქრისტეს მითითება

პასუხის მისაღებად იესომ მარტივი მითითება მოგვცა:

„ვისაც მისი ნების აღსრულება სურს, მიხვდება, ვისგანაა ეს მოძღვრება, ღმერთისგანაა იგი თუ ჩემით ვლაპარაკობ“ (იოან. 7:17).

მოაწყვე შენი ცხოვრება წმიდა წერილების თანახმად!

დაიწყე ბიბლიის კითხვა. იკითხე მეთოდურად, ასევე სისტემატურად. ერთბაშად ნუ წაიკითხავ მის დიდ ნაწილს. მისი კითხვისას ნურაფერზე იფიქრებ გარდა წაკითხულისა. მთელი კონცენტრირება მასზე მოახდინე. ჰკითხე საკუთარ თავს, „რას ამბობს ის რეალურად?“

ქრისტეს მითითება კი გაცილებით შორს მიდის: „ვისაც მისი ნების აღსრულება სურს, მიხვდება, ვისგანაა ეს მოძღვრება.“

ეს პასუხი მთელ ბიბლიას შეესაბამება. თუ გსურს გაიგო რა არის ბიბლია, მის თანხმად ცხოვრება დაიწყე.

საამისოდ სხვა პასუხი არ არსებობს. და თუ ამ მითითებას გაჰყვები, მაშინ ჭეშმარიტებას შეიცნობ.

## რას აღნიშნავდა იესო სიტყვებით: ღმერთის ნების აღსრულება?

უპირველესად მისი მნიშვნელობაა უფლის მცნებათა დაცვა. ვინაიდან მცნებები თავად ღვთის წმიდა ნების გამოხატულებაა. ისინი გვეუბნებიან რა ან რა არ უნდა გავაკეთოთ.

თუ გავერკვევით და ნათლად დავინახავთ, რასაც იესო გულისხმობდა, უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ მისი ნების აღსრულება. მიდი შეეცადე და ყოველი ღონე იხმარე მცნებების დასაცავად. ღმერთმა მცნებები დაგვიდო, რათა მათ გავყვეთ და მათ შესაბამისად ვიცხოვროთ.

იესო ამბობს, რომ რჯული ორ მცნებაზეა დაფუძნებული. გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა არსებითა შენითა და გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი. აკეთე შენი მაქსიმუმი და მით იცხოვრე.

დიდი ხანი არ დაჭირდება იმის გააზრებას, რომ ამის გაკეთება არ შეგიძლია. შენ შეუძლებლის წინაშე წარდგები.

## **გამოცდილება იმისა, რომ ბიბლია ჭეშმარიტია**

შენ უკვე გააკეთე მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომ ბიბლია ჭეშმარიტებას ლაპარაკობს. ვინაიდან მან გიჩვენა ის, რომ შენი ბუნებრივი გონებით და გულით ღვთის მიმართ მტრული განწყობა გაქვს.

ახლა მნიშვნელოვანია თვალთმაქცობა არ დაიწყო, არ შეურაცხყო ღმერთი და ჭეშმარიტების წინააღმდეგ კომპრომისზე არ წახვიდე. მიეცი ნება მცნებებს, რომ გამხილოს და შენი პასუხისმგებლობა აღიარე.

ამის შემდეგ, რაღაც მძაფრი რამ გახდება შენთვის ცნობილი. დაიწყებ რა იმის დანახვას თუ, რაოდენ ღვთის მოწინააღმდეგე ხარ. ეგოცენტრული, უწმიდური, ბოროტი და უკუღმართი. ზუსტად იმას აკეთებ, რასაც ღმერთი არ გააკეთებდა და ის გეზიზღება, რაც რომ იცი ღმერთს მოსწონს.

შენ უკვე იპოვე ფუნდამენტური ჭეშმარიტება, ის, რომ ბიბლია ჭეშმარიტია. ის გეუბნება შენ, რომ არა მარტო ღვთის შიში, არამედ უნარი ღვთის შიშის ქონისა დაკარგე.

არის თუ არა ეს სიმართლე?

ახლა ხედავ, რომ დაკარგული ხარ. ახლა იცი, რომ მცნებათა დაცვით ღმერთთან მისასვლელი გზა არ არსებობს.

## **მაშ რა ვქნათ ახლა?**

პასუხი იესოს სიტყვებში უნდა ჰპოვო, „ვისაც მისი ნების აღსრულება სურს, მიხვდება, ვისგანაა ეს მოძღვრება ღმერთისგანაა იგი თუ ჩემით ვლაპარაკობ.“

ღმერთის ნებაა შენი ცოდვებით იესოს მიმართო, იქედან სადაც ხარ.

დაიწყო გულწრფელი საუბარი იესოსთან საკუთარ თავზე. ნუ

დამალავ ნურაფერს, ნურაფერს შენიღბავ, არამედ მას შენი თავი ბოლომდე გაანდე. ისე მიდი მასთან, როგორიც სინამდვილეში ხარ.

აი ასე აღასრულებ ღვთის ნებას.

თავიდან ეს განცდა ნამდვილად მტკივნეულია და თავს მსჯავრდადებულად გრძნობ. მსჯავრდადება სინდისში მოდის. გგონია თითქოს ღმერთმა უკუგაგდო და ამ ნუთისოფელში შენი ყოფისა და ქცევის გამო ეს არის ის ერთადერთი სამართლიანი დამდგარი შედეგი.

## ყველაზე მნიშვნელოვანი

ახლა კი იმ ადგილზე მივედით, რაც იესოს სიტყვებში ყველაზე მნიშვნელოვანია.

როდესაც იესომ თქვა, „ვისაც მისი ნების აღსრულება სურს,“ უპირველესად ამით მიუთითა მისი პიროვნებისადმი შენს დამოკიდებულებასა და მისი სიტყვებისადმი შენს რეალურ ნდობაზე.

„მიხვდება, ვისგანაა ეს მოძღვრება,“ ამ სიტყვებით იესომ საკუთარ თავზე და მის მიერ შენთვის აღსრულებულ საქმეზე ილაპარაკა.

და რეალობაში რას მოიცავს ყოველივე ეს?

ვინაიდან შენ და მე ამ მდგომარეობაში ვიმყოფებით, იესომ საკუთარ თავზე აიღო მთელი პასუხისმგებლობა ღვთის წინაშე, ყოველივე იმაზე, რაც ჩავიდინეთ, განვიზრახეთ, ვიგრძენით, განვიცადეთ თუ უგულებელვყავით. ყოველივე თავის თავზე აიღო, რათა შენ და მე თავისუფალნი ვყოფილიყავით.



# სოლის განცდა და ოქიდონი

## უიმედო სიბნელე

უიმედობაში მყოფო ძვირფასო ქრისტიანო მეგობარო, რომელიც სიბნელეს ებრძვი, აზრადაც არ მოგსვლია, რომ მას თავს დააღწევ...

ვისურვებდი რამოდენიმე სიტყვით მხნეობა და ნუგეში მომეცა შენთვის იმ ბრძოლაში, რასაც ახლა გადიხარ. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, თუ რაოდენ ძნელია ირწმუნო ის, რომ ღვთის სიტყვაში დანერილი შენ გეკუთვნის.

ზუსტად ამ საკითხზე გაქვს ყველაზე მეტი ბრძოლა. — შენ ის არა ხარ ვინც ღვთის სიტყვაში დანერილზე ეჭვობს, რომ ის ჭეშმარიტი და შეუცვლელია.

არც იმაში ეჭვობ, რომ ღმერთი ყოვლისშემძლეა. არა, შენ მრავალჯერ გიხილავს, საკუთარ თუ სხვის ცხოვრებაში, რომ ეს ასეა და ამის უარყოფა შეუძლებელია. შენც თავად ხარ მონმე იმისა თუ ღმერთი, როგორ შემოვიდა შენს პირად ცხოვრებაში, მაგრამ თითქოს ის აღარ გეხმარება.

ღმერთი არასოდეს არ იცვლება. არა, ეს მე ვარ, რომელიც შევიცვალე, ამბობ შენ. მევე გავხდი აპათეტური და ინდიფერენტული. ამიერიდან სხვა ქრისტიანებს აღარ მოვენონები. რაღაც განსაკუთრებული დამემართა. ჩემი ქრისტიანული ცხოვრება სამარცხვინოდ მექცა და იმდენად დიდია ეს სირცხვილი, უთუოდ ქრისტე უკუმაგდებს.

უკვე გეჩვენება თითქოს ღმერთიც ამ აზრზე იყოს.

მაგალითად: „ახლოა უფალი გულ-შემუსვრილებთან“ (ფსალ. 34:17). საკუთარ თავს ასე განსჯი და ამბობ, აი უფრო მეტად თუ შევინანებ ჩემს ცოდვებს, მაშინ უფალი უფრო ახლოს მოვა ჩემთან. მე ვგრძნობ ჩემს გულში ცოდვის მეტი არაფერია.

არ შემიძლია ცოდვები სათანადოდ ვაღიარო და ჩადენილ ცოდვაზე ნამდვილი სინანულის გრძნობაც კი არ მეუფლება.

## რჯულის ფუნქცია

რასაც შენ ახლა განიცდი, როზენიუსი ასე ამბობს, „რჯულის ეფექტი ხშირად ქრიატიანთათვის დაფარულია. საკუთარ თავში ვერანაირ მონანიებას ვერ ნახულობ, არამედ მხოლოდ ცოდვას. გასურდა ცოდვა ნრფელად გელიარებინა და მოგენანიებინა, მაგრამ სანაცვლოდ მის თანაყოფნას და ძალას განიცდი. რჯული ნუგეშს არ იძლევა, არამედ უდიდესი სასონარკვეთილების განცდას.

„ეს არის ის გზა, რაც უნდა იყოს. ცოდვის აღიარება, რაც შვებას მოგიტანს, სრულიად განსხვავდება რჯულის ეფექტის მნიშვნელობიდან. ვინაიდან რჯულის ერთადერთი ფუნქციაა ყოველგვარი სიმშვიდე წაგართვას, გარდა იმ მშვიდობისა, რასაც იესო ქრისტეში და მის მსხვერპლში ჰპოვებ.

„არც მადლის საქმე შენს გულში რომ მიდის, არამედ მხოლოდ იესოს აღსრულებული ხსნის საქმე უნდა იყოს შენი ნუგეშისცემა. აი ეს არის გადამრჩენელი რწმენა.“

## ცრუ, თუ ნამდვილი ევანგელური მშვიდობა

აგრეთვე ღმერთმა აუცილებლად უნდა მოგამოროს საკუთარი თავის და პირად ქრისტიანულ ცხოვრებისადმი ნდობა, ეს პროცესი კი განგრძობითია. ამ დროს შენ გმართებს აღიარო, რომ ღმერთი სათანადოდ არ გიყვარს.

პირად ცოდვებთან დაკავშირებით მრავალჯერ მიეცი პირობა, რომ გამოსწორდებოდი, მაგრამ ამაოდ. ილოცე, რა უფლისადმი, რომ ცოდვაზე გამარჯვების ძალა მოეცა შენთვის, მაგრამ დღესამომდე არ შეგიძლია თქვა, რომ ამ სფეროში რაიმე წარმატება გაქვს.

შეიძლება საკუთარ თავში გინდა ძალა გქონდეს და არა უფალში, რაც იმის მიზეზი ხდება, რომ ამ სახის ლოცვა წარმოთქვა? თუ ეს ასეა, მაშინ ამაოდ ელოდები პასუხს.

ვინაიდან ღმერთი არასოდეს პასუხობს ამ გზით წარმოთქმულ ლოცვას. თუ შენი ცოდვებისადმი თვით-კმარი გინდა იყო, მაშინ მშვიდობას ვერასოდეს ჰპოვებ.

## **რწმენის კონფლიქტი — რწმენის ზარი**

ეფესელთა წერილში ისეთი, რამ წერია, რაც ჩემთვის განსაცდელის ჟამს დიდი დახმარება იყო. „და აიღეთ რწმენის ფარი, რომლითაც ბოროტის გავარვარებული ისრების ჩაქრობას შეძლებთ“ (ეფეს. 6:16). უბრალოდ რწმენით კი არა, არამედ რწმენის ფარით უნდა გავუმკლავდეთ მბრალმდებელს. და რა არის ეს „რწმენის ფარი?“ ეს სხვა არაფერია თუ არა თავად იესო ქრისტე.

ეს არის ჯვრის სიტყვა, ეს არის უწყება იმისა, რომ ყველაფერი გამოსყიდულია და იესოს სისხლის მიერ ჩამობანილი და წარბოცილი. აი ეს უნდა აიფარო ფარად, რათა ცეცხლოვანი ისრები ჩაახშო.

ეს ნიშნავს იმას, რომ განსაცდელის ჟამს შენ შეგიძლია მადლობდე იესოს, ვინაიდან იმ ცოდვისაგან რაც ახლა გცდის, მან უკვე გამოგისყიდა.

ემმაკის წინაშე სახარება გააცხადე და შენ დაინახავ თუ, როგორ გაიქცევა ის შენგან.

## **რატომ, უფალო?**

ავადმყოფობამ და გაჭირვებამ შესაძლოა დიდი სასონარკვეთილება წარმოშვას. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისე ჩანს თითქოს უფალმა შენგან თავისი სახე დაფარა. ამ დროს ისეთი გრძნობა გეუფლება თითქოს მან ყური დაიცო და შენი ლოცვა აღარ ესმის.

რაც უფრო მეტად ლოცულობ შვებისათვის, მით უფრო გიმძიმდება. გეჩვენება, რომ უფალმა შეუძლებლად აქცია შენთვის ეს მდგომარეობა. თითქოს ღმერთმა წინეხშიმომგამწყვდია

და შენგან მთელი სიცოცხლის გამონურვას ლამობს.

შენ კვლავ და კვლავ კითხვით მიმართავ მას: „რატომ, უფალო? რატომ მე?“

„ნუთუ სხვა ქრისტიანებზე ამდენად ცუდი ვარ, ასე რომ მექცევი? რატომ არ მოხვალ და შემეწევი, როცა დახმარებას გთხოვ?“

ერთადერთი პასუხი, რასაც შენ ლებულობ, არის დაფერებულობა იმისა, რომ ამ მდგომარეობაში უფალმა მოგათავსა. ტვირთი მძიმეა. ხოლო, როდესაც ამ საკითხს ცხადლივ ხედავ, უფლისადმი თხოვნას ვერ ბედავ, რომ ის განგაშოროს, თუნდ ცხოვრება აუტანელი გაგიხდეს. მას, ვისაც მსგავს ბრძოლაში გაუვლია, იცის ამ მდგომარეობის გასაძლებად რა ფასია გადასახდელი.

## **უფალი ხედავს, რაც წინ გველოდება**

მან ბოლო იცის. დგება დღე, როდესაც უფალი ყველა ჩვენ დამაბრკოლებელ ბორკილს ახსნის. მან იცის თუ რა წინააღმდეგობებს გადიხარ. მან ისიც იცის თუ რა დონის წინააღმდეგობას დაუშვებს შენს გზაზე, რათა, როგორც ქრისტიანი შენახულ იქნა.

შენ შეგიძლია მშვიდად იყო და მის ხელს მიანდო ყოველივე, რათა მან იმოქმედოს.

თუ ღმერთს მიაჩნია, რომ ეს ყველაფერი შენზე უნდა დაუშვას, არადა ლოცვით ითხოვ წინააღმდეგობებიდან თავისუფლებას, რათა ციური სახლისაკენ მიმავალი მისით დაცული იყო, მაშინ როგორი იქნება მისი ქმედება? ის შენ დაგიფარავს. შეგახსენებს რა, რომ მისი მადლი სრულიად საკმარია შენთვის (2კორ. 12:9). ხოლო ერთ მშვენიერ დღეს ყოველივე ამისათვის მას მადლობას გადაუხდის.

## „როგორ შეიძლება მე იესო დავკარგო?“

ღმერთს არ მიუტოვებოხარ, თუნდაც ასე გეჩვენებოდეს. ეს არ არის სასონარკვეთის მიზეზი. ღმერთის სურვილია უფრო მეტად ენდობოდე მას გულით და არ აჰყვე გრძნობებს.

ამ მიზეზით ის ნებას რთავს გამოცდებს, რათა მთელი შენი ცხოვრების განმავლობაში გამოგცდილ იყო.

ცხოვრებისეული ნიშნების საშუალება, რისი მეშვეობითაც ღმერთი მისი ჩანაფიქრის მიხედვით ახდენს თიხის ჭურჭლების ფორმირებას. ეს კი, ჩვენს ცხოვრებაში მისი მადლის საქმეების აღსრულებაა.

ერთერთი ნიშანი იმისა, რომ შენ იესოს ეკუთვნი ის ფაქტია, რომ ვიდრე იესო თავის თავს შენგან ფარავს, მშვიდად დარჩენა არ შეგიძლია.

შენ უნდა იცოდე იესოში, როგორი მდგომარეობა გაქვს. ვიდრე ამას არ გააკეთებ, მის სიმშვიდეში შესვლას ვერ შეძლებ. ეს არის იმის მტკიცებულება, რომ შენ იესო კვლავ გიყვარს. ვინაიდან თუ პიროვნება არ გიყვარს, ის არასოდეს მოგენატრება და მისი ნახვის სურვილი არ გაგიჩნდება... დაე ძნელბედობის ჟამს ეს იყოს შენი მთავარი ნუგეშისცემა.

და მაინც მუდამ შენთან ვარ;  
შენ გიჭირავს ჩემი მარჯვენა.  
შენი რჩევით მიმიძღვი წინ  
და დიდებამდე მიგყავარ.  
ვინ არის ჩემთვის ზეცაში?  
და შენ გარდა არაფერი მსურს  
დედამინაზე.

ფსალმუნი 73:23-25

# Georgian: იესომ მიპოვა მე

© Georgian translation and publisher:  
Stiftelsen På Bibelens Grunn  
Dansk Balkan Mission (DBM)

Original title: Jesus fant meg (Jesus found me).  
Translated: Ruslan Tsintsadze (რუსლან ტსინცაძე)  
Cover photo: Hans Bergstrøm  
Original by: © Stiftelsen På Bibelens Grunn

Authors: Eivind Gjerde (interview with Knut Pedersen)  
Terje Treidene (“Soul’s distress and Despair”)  
Norvald Yri (“What is God’s will for your life?”)  
Øivind Andersen (Excerpts from books edited by Reidar Eriksen and printed with the permission of Lunde Forlag. Ø. Andersen was a respected Bible teacher in Norway and for many years teacher and principal of Fjellhaug Skoler in Oslo)

Compiled by: Reidar Eriksen, Olav H. Kydland, Guttorm Raen, Olav Toft

Graphics: Knud W. Skov, DBM  
1st edition printed July 2018, 2000 copies

The translation and publishing of this book has been made joint by two publishers. All rights reserved. No part of this book may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted, in any form or by any means, electronic, mechanical, photocopying, recording, or otherwise, without the prior written permission of the publishers.

Stiftelsen På Bibelens Grunn  
Postboks 67, N-4349 Bryne, Norway  
<http://www.bibelsk-tro.no/>      [btpost@bibelsk-tro.no](mailto:btpost@bibelsk-tro.no)

Dansk Balkan Mission  
Br. Roddingvej 5a, DK - 6630 Rødding  
[www.balkanmission.dk](http://www.balkanmission.dk)      [dbm@balkanmission.dk](mailto:dbm@balkanmission.dk)

Contact in Georgia: ქუთაისი, გრიგოლ ხანძთელის N24  
Soli Deo Gloria!



იესო ქრისტე გუშინ,  
დღეს და უკუნისამდე იგივეა.  
ებრაელთა 13:8